საქართველოს მთავრობის

დადგენილება №122

2024 წლის 3 აპრილი

ქ. თბილისი

„საავიაციო რადიოკავშირისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №595 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საავიაციო რადიოკავშირისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №595 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2018; 420000000.10.003.020911) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საავიაციო რადიოკავშირისა და ფრაზეოლოგიის გამოყენების წესის“ დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**